# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 291 ხუთშაბათი, 31 დეკემბერი 1909 წ. № 291

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებებისა მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე ...

... წერილები არ ... შემოკლების და ... პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, რაგორითაც მიმდინარე წელს გამოდიოდა.

✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქს გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 0. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.

---

შაბათს, 2 იანვარს, წმ. ნიკოლოზის სამხედრო ტაძარში, ალექსანდრეს ბაღში, აგრეთვე სოფ. მელაანში და ნუკრიანში გარდახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდები ტრაგიკულად გარდაცვალებულის, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის

## ილია (ილიუშა) ნიკოლოზის ძის ნათიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და განსვენებულის ამხანაგთ მშობელნი მისნი **დეკანოზი ნიკოლოზ გიორგის ძე და დარია ილიას ასული ნათიძენი** შვილებითურთ, ბიძა მისი **მღვ. ვასილ გიორგის ძე ნათიძე** და მამიდა მისი **კნ. ელისაბედ გიორგის ასული ანდრონიკაშვილისა.** წირვა დაიწყება დილის 9 საათზე.

(1—803—1)

---

**წარმოდგენა № 23. ქართული თეატრი წარმოდგენა № 23.**

ხუთშაბათს, 31 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ ნ. ...ლის მონაწილეობით ცნობილი ისტორიული პიესა ალ. სუმბათაშვილისა.

## ღ ა ლ ა ტ ი

5 მოქმედებად თარგ. ... 
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი ზუსტად საღამოს 8 საათზე.**

მზადდება სადღესასწაულო წარმოდგენა 2 იანვრისთვის.

მთავარი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

**ხუთშაბათს, 31 დეკემბერს**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ **კ. ნ. შათირიშვილის** რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება:

### „გაცრუებული იმედი"

კომედია 2 მოქმედ. აზიანისა.

### „პარიზელი ბიჭი"

პიესა 2 მოქმედ. თარგ. დ. ერისთავისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სცენის-მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 10 იანვარს.
რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**

---



## ძმ. ნიკიტნების ცირკი.

დღეს, 31 დეკემბერს, დასაწყისი 8 ს. დასასრული 11 ს. გაიმართება დიდი წარმოდგენა. საღამო სიცილისა და გართობისა. ვისაც სიცილი უნდა, მოვიდეს დღეს. წარმოდგენა სამ მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ კლოუნები **ძმ. კოსტონდი, სესი ლეონსი, ქ-ნი რუტსი.** დასასრულ პანტომიმა: **ახალი წლის ამოსვლა, დიდი აპოთეოზი,** დაწვრილებით პროგრამებში.

**დასაწყისი საღამ. 8½ საათზე.**

ანონსი: 1 იანვარს ორი წარმოდგენა, დილით და საღამოთი.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

(0—ხ.—9) გამგე **გამსახურდია.**

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს
**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე. 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით.
(100—ნ.—74)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით.
(წლ.—ნ.—236)

## ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ის უძრავი ქონება, რომელიც 1909 წელს 19 და 20 დეკემბერს მოხდარ საჯარო ვაჭრობიდან გადავიდა მეორე ვაჭრობაზე, **გაიყიდება 1910 წელს 7 იანვარს,** შუადღის 12 საათზე, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე.

დაწვრილებითი სია გასაყიდ უძრავ ქონებისა მსურველთა გადასათვალიერებლად გამოკრულია ბანკის სადგომში.

### ქალაქის მამულები,

რომელთა გირაოზედაც გაცემულია გრძელვადიანი სესხი.

**ტფილისის გუბერნია**

**ქ. ტფილისში.**

ალექსანდრიანცი ანნა სოლომონის ასული და ოქროევისა ელისაბედ სერგეის ასული. 2. ალიმბაროვისა ევდოკია სტეფანეს ასული. 3. ასტაფიევისა ელენე დავითის ასული. 4. ჯავროვისა მიტრადორა იოსების ასული. 5. დუპიტიანცი გიორგი აკიმას ძე. 6. ეგიკოვი მოსეს არუთინას ძე. 7. კრიხელი ზაბულონ ელის ძე. 8. მაღალაშვილი ზაქარია გიორგის ძე. 9. მირზოევისა მარიამ მიხეილის ასული. 10. ფანიაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე. 11. ფარესოვისა ნატალია აბრამის ასული. 12. სვიმონოვისა ნინო ივანეს ასული. 13. სულხანიშვილისა ნინო გრიგორის ასული. 14. ტატულოვი თათეოს მიკირტიჩის ძე. 15. ტერ-მიკირტიჩიანცი მიკირტიჩ არუთინას ძე. 16. ჩიკვაიძისა ოლგა ანდრიას ასული. 17. შერვაშიძისა მარიამ ალექსანდრეს ასული.

**კოჯორში.**

პისმენნი ვასილ ივანეს ძე.

**სოფ. ახალქალაქში.**

(გორის მაზრა).

თარხან-მოურავები დავით და ესტატე ლუკას ძენი, ლუკა, კონსტანტინე და ელენე ივანეს ძენი და ასული.

**დაბა ბორჯომში.**

გრუზინსკისა თამარ დავითის ასული

**ქალაქ ახალციხეში.**

ბუტკოვსკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. სეხნიაშვილები პავლე პეტრეს ძე ბარბარე გრიგორის ასული და ნიკოლოზ, მიხეილ, ილია, კონსტანტინე და იულიანა გიორგის ძენი და ასული.

**ქალაქ სიღნაღში.**

ბაშინჯაღოვი მელქო დავითის ძე.

**ქალაქ გორში.**

ზუბიევი გაბრიელ იოსების ძე. თავდგირიძე მიხეილ ბესარიონის ძე,

**ქუთაისის გუბერნია**

**ქალაქ ქუთაისში.**

გაბაშვილები დარია ზაალის ასული, გიორგი და ზაალ ისიდორეს ძენი. გამრეკელი ნიკოლოზ გრიგორის ძე. რუხაძე მიხეილ ნიკოლოზის ძე. ხაინდრავა თადეოზ (იგივე ივანე) ტოტიას ძე. ჩირაძე ივანე გიორგის ძე.

**ქალაქ ბათუმში.**

ჰაირაპეტოვი მარტიროს არტემას ძე. გრიგოლია ვამეხ მათეს ძე. კაკაბაძე ივანე დავითის ძე. კევხიევი არტემ ქრისტეფორეს ძე. ოგიევსკაია-ოხოტსკაია სოფიო მიხეილის ასული. სანაძე ყარამან მიხეილის ძე.

**ქალაქ სოხუმში.**

ნალბასტიანი მარტიროს ოვანესას ძე. ჩილაია ალექსი უჩინის ძე.

**განჯის გუბერნია**

**ქალაქ განჯაში.**

ჯაგეტიანცი ალექსანდრე მაკიას ძე.

### სოფლის მამულები,

რომელთა გირაოზედაც გაცემულია გძელვადიანი სესხი.

**ტფილისის გუბერნია.**

**ტფილისის მაზრაში.**

არეშოვი ნიკოლოზ ივანეს ძე. ბარათაშვილები ანასტასია, იოსებ, ნიკოლოზ და ვლადიმერ ალექსანდრეს ასული და ძენი. ბარათაშვილები ანასტასია, იოსებ, ვლადიმერ და ნიკოლოზ ალექსანდრეს ასული და ძენი. ჯორჯაძენი ივანე, ილია და დავით გიორგის ძენი, ალექსანდრე და ელენე მიხეილის ძე და ასული, დიმიტრი და ევგენია სოლომონის ძე და ასული და ეკატერინე ათანასეს ასული.

**დუშეთის მაზრა.**

ამილახვარი დავით ლუარსაბის ძე. ამილახვრისა ეკატერინე მიხეილის ასული. ამილახვარი ივანე ლუარსაბის ძე. ამილახვარნი ივანე ლუარსაბის ძე და ალექსანდრე ივანეს ძე. ბაგრატიონ-მუხრანსკები ივანე და გიორგი დიმიტრის ძენი. ჯამბაკურიან-ორბელიანები კონსტანტინე და ივანე მაკარის ძენი, მელიქიშვილისა ალექსანდრე მაკარის ასული და თარხან-მოურავისა. ყიფიანები ბარბარე და ნინო ნიკოლოზის ასულნი.

**თელავის მაზრაში**

მაყაშვილი ალექსანდრე ლუარსაბის ძე. რუსიევ-ყორჩიბაშვილი მიხეილ ევგენის ძე.

**ბორჩალოს მაზრა**

ლიაშენკო ნინო ალექსანდრეს ასული. მიქელაშვილი გალო მიქელის ძე და ზაქარია პეტრეს ძე და მოსიაშვილი ივანე მოსეს ძე.

**გორის მაზრაში.**

აბაზაძენი ალექსანდრე და ნიკოლოზ ლევანის ძენი და შალიგინისა მარიამ ლევანის ასული. ამილახვარი ალექსანდრე ივანეს ძე. ამილახვარი დიმიტრი ივანეს ძე. ამილახვრისა ეკატერინე ბესარიონის ასული. ამილახვარნი დავით და ივანე ლუარსაბის ძენი. ამილახვარი დავით და ივანე ლუარსაბის ძენი. ბაგრატიონ-დავითიშვილი დავით ალექსანდრეს ძე. ბაგრატიონ-დავითიშვილი დავით ალექსანდრეს ძე. ბორისოვისა მარინე ალექსანდრეს ასული და ქურული ტერეზია ალექსანდრეს ასული. გრუზინსკისა სოფიო დავითის ასული. გრუზინსკისა სოფიო დავითის ასული. გრუზინსკისა სოფიო დავითის ასული. გრუზინსკისა სოფიო დავითის ასული, გრუზინსკისა სოფიო დავითის ასული. ჯავახიშვილი დავით ქაიხოსროს ძე. ჯემარჯიძენი ნიკოლოზ და სიმონ ნიკოლოზის ძენი და ეკატერინე ივანეს ასული: მეჩიტოვები დარჩო იაგორას ძე, ნინო დარჩოს ასული და ანნა სულხანის ასული, ბესიაშვილი თევდორე ნინიას ძე და სხვანი. თარხან-მოურავი გიორგი იორამის ძე. თარხან-მოურავი მიხეილ ევგენის ძე. ტატიშვილები დიმიტრი ზურაბის ძე და სოფიო იოსების ასული. წიკლაური დიმიტრი, გოგლაური ივანე და სხვანი.

**ქუთაისის გუბერნია**

**ქუთაისის მაზრაში.**

შოტტ ლევ იპოლიტეს ძე.

**ზუგდიდის მაზრაში.**

დადიანები ილია და იოსებ იულონის ძენი.

**ნუხის მაზრაში.**

რაზდერიში ვალერიან პავლეს ძე (მემკვიდრენი).

**ჯევათის მაზრაში.**

კანიბეკ გამიდ ბეკ ოღლი.

### სოფლის მამულები,

რომელთა გირაოზედაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი, რომლის თავნი ვალის გასტუმრების ვადა ჯერ არ დამდგარა.

**ტფილისის გუბერნია**

**გორის მაზრაში.**

ჭავჭავაძისა ელენე გიორგის ასული.

**დუშეთის მაზრაში.**

გოდერძიშვილი მიხეილ ქიტესას ძე.

### სოფლის მამულები,

რომელთა გირაოზედაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი, რომლის თავნი ვალის გასტუმრების ვადა უკვე დადგა.

**ტფილისის გუბერნია**

**ტფილისის მაზრაში.**

ქანანოვი მიხეილ ზურაბის ძე.

**გორის მაზრაში.**

თარხან-მოურავი მიხეილ ევგენის ძე. შიუკაშვილი მიხეილ ბებოს ძე.

## ახალი კლუბის

საბჭო ამით აუწყებს ბ-ნთ წევრებს და აგრეთვე კლუბის წევრებად ჩაწერის მსურველებს, რომ საწევრო ფულის მიღება და ახალის წევრების ჩაწერა სწარმოებს კლუბის კანცელარიის დროებით სადგომში (სათავად-აზნაურო ქარვასლა, სასახლის ქუჩა) ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში 30 დეკემბრიდან 1910 წ. 10 იანვრამდე ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოთი 6-დან 8 ს.-მდე. (3—ნ.—2)

**ვერის სახალხო აუდიტორია**

შაბათს, 2 იანვარს, გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა ქართულ თეატრის დაარსების აღსანიშნავად

I

**ქართულ თეატრის ისტორიას**

წაიკითხავს გ. ლეჟაველი.

II

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება მეოთხე მოქმედება გ. ერისთავის პიესის

✦ „დავა"-სი ✦

III

● „ადვოკატთან" ●

ვოდ. 1 მოქ. ვ. ჟენიასი.

**ადგილების ფასი 5 კ. 25 კ.**

---

4 იანვრიდან გამოვა ტფილისში ორშაბათობით ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ხ ა ლ ხ ი"

ფასი 5 კ. გაზეთის გამყიდველებს შეუძლიათ გაზეთი იყიდონ „სორაპ ნის" სტამბაში კვირა საღამოს.

რედაქტორ-გამომცემელი **შ. საფაროვი.**

(3—1)

---

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა,
(0—586—332)

## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

## ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი.
(0—უ.—82)

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა.
(0—ვგ.—138)

## ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნისისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ფუთხე).
(100—ზალ.—98)

## ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა.
(უ)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია).
(0—24)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

### ჩ ა რ ე ქ ო ვ ი

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გზგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე.
25—ფ.—6

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
მ. **კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან.
(100—ზალ.—94)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით.
(100—ნ.—72)

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79.
(0—ნ.—1365)

## ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

არჩენს სპეც. ქირურ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. მემდეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე.
(100—ზალ.—84)

## ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ.
(25—ნ.—)

## ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ... მყოფებს იღებს ყოველ დღე ... 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბ... ბით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობ... ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა,
(უ)

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინდელ „მოძავალ"-ში დაბეჭდილია განსვენებულ მარჟორი უარდროპის დაკრძალვის ამბავი. აი, რას იწერება კორესპონდენტე ლონდონიდან:

დილა ადრიან გავედით მატარებლით ნისლით დაბურულ ლონდონიდან ოთხიოდე ქართველი და ჩქარა ამოვყევით თავი სევენოკში. იქ ძალზე ციოდა, მაგრამ მზის ბრწყინვალე კაშკაში ნათლად გვიშლიდა თვალ-წინ სუფთა და კოპწია ქალაქის არე-მარეს. ჩვენ მივაშურეთ აღმართ-აღმართ ადგილობრივ საყდარს, რომლის იქვე გვერდში აკლდამა იყო. საყდარი აგებულია ნაცრის ფერ თლილი ქვისაგან და სიძველეს ერთი ორათ გაუმშვენიერებია ის. არ გასულა დიდი ხანი და მიცვალებულიც მოასვენეს. სამგლოვიარო ეტლზე მრავალი ცოცხალი ყვავილების გვირგვინები ეწყო, მეგობარ-ამხანაგებისაგან მიძღვნილი. ზედ კუბოზე იდვა ცოცხალ ვარდების გვირგვინი, რომლის თეთრ ლენტზე მსხვილი ასოებით იყო ქართულად ამოქარგული „საქართველოს მოამაგეს". დასაფლავება სრულიად სადა და შინაურული იყო. გარდა მოხუც დედისა და ორი ძმისა იყვნენ რამდენიმე სულ მახლობელი პირი. კუბო ჩაასვენეს უსიტყვოთ და უცრემლოთ. ინგლისელი არაა ჩვეული მწუხარების ცრემლით გამოხატვას, სამაგიეროთ რამდენათ მწვავე და ღრმა უნდა იყოს ის.

განსვენებული ჯერ კიდევ არ იყო ორმოცი წლისა; იგი იყო სპეტაკი და მოსიყვარულე გულის ადამიანი; იგი იყო უწყინარ-უჩინარი და უპრეტენზიო, რაიც მომხიბვლელი იყო მისი მაღალ განათლება-ნიჭის მიხედვით. საქართველო მისი მეორე სამშობლო იყო, მე ვიტყოდი—**პირველი**, რადგან მას არა ერთხელ უნატრია სიცოცხლეში გურიაში, სახელდობრ — ახოვან შემოქმედში დასაფლავება. თვით სიკვდილის კარზე, წყეულ დამბლისაგან ენა წართმეული, ის მთრთოლარე ხელით სწერდა ჰაერში სიტყვას—„საქართველო", და როცა ეს ამოიკითხა მისმა საყვარელმა ძმამ, მისი სახე მთლად ბრწყინვალებად და ბედნიერებად იქცა. უარდროპი ღრმა მცოდნე იყო ქართული ენისა. მის ხელს ეკუთვნის „სიბრძნე-სიცრუის" და „განდეგილის" და ბევრ სხვათა ინგლისური თარგმანი.

უკანასკნელად ის შეუდგა „ვეფხის ტყაოსნის" ინგლისურათ თარგმნას. ჯერ მან გადათარგმნა ეს დიდებული ქმნილება ქართულ კულტურისა პროზათ და შემდეგ შეუდგა მის გალექსვას, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა აღარ დააცალა.

უარდროპი დიახაც არ სჯერდებოდა ჩვენი წარსულის შესწავლას, იგი დიდათ დაინტერესებული იყო ჩვენი აწმყოთი და აღტაცებით მისჩერებოდა ქართველი ერის მკვირცხლ წამოჭრას განმათავისუფლებელ მოძრაობის ჟამს. მან ჩვენთან ერთათ ძ.რამდე გამოსცალა დამარცხების მწარე ფიალა და თავის მცირე წვლილიც გამოიღო გურულების სასარგებლოთ.

ასე ნაკლებ გვიცნობენ ჩვენ ჯადელმა, ასე ცოტა გვყავს იქ მეგობარნი... და ერთი საუკეთესო მათგანი ქ-ნი უარდროპი იყო...

* * *

„მომავლის" იმავე ნომერში დაბეჭდილია ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის მოხსენება, რომელიც მას ტფ. ქალაქის გამგეობისთვის გადაუცია. უნივერსიტეტი სთხოვს ქალაქის გამგეობას, ის დღეები ზუბალაშვილის სახალხო თეატრში, რომელიც დღეს დრამატიულ საზოგადოებას აქვს, უნივერსიტეტს გადაეცეს. ამას უნივერსიტეტის გამგეობა ასაბუთებს იმითი, რომ უნივერსიტეტმა მშვენივრად მოაწყო ქართულ სახალხო წარმოდგენების საქმე და ეხლა ამისი საშუალება მოესპოო.

სიმართლე თუ გინდათ, ასეთი უნდა! მთელმა ტფილისმა იცის, რომ სახალხო უნივერსიტეტს თითიც არ გაუნძრევია სახალხო თეატრისათვის. ან, საზოგადოდ, სხვა რა გააკეთა ამ უნივერსიტეტის გამგეობამ, რომ ყველგან და ყოველთვის თავის მოღვაწეობაზე გაჰყვირის!? მან ვერც სკოლების საქმე მოაწყო და ვერც ლექციებისა.

უნივერსიტეტის გამგეობა თავის მოხსენებაში სწერს:

სახალხო უნივერსიტეტის ქართულმა თეატრალურმა სექციამ დღიდან თავის დაარსებისა 1907 წელს, კარგი პიესების ამორჩევით და შესაფერად ასრუ- [illegible] ნიადაგი მოიპოვა ხალხის დემოკრატიულ ნაწილში თეატრალურ სექციის ბედ-იღბლის შესახებ, ყველა ზემონათქვამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია.

ამის წამკითხველი ნება უნებურად იფიქრებს, ვითომ ქართული სახალხო წარმოდგენები ტფილისში სახალხო უნივერსიტეტისა და იმის სექციის შრომისა და უნარის ნაყოფი იყოს, ამასთან ეს წარმოდგენები 1907 წლიდან დაწყებული იყოს. ერთიცა და მეორეც შემცდარია. სახალხო წარმოდგენები თხუთმეტი წელიწადია დაიწყო და ამ საქმის სულის ჩამდგმელნი და მოამაგენი სექციის წევრნი კი არ იყვნენ, არამედ ის სცენის მოყვარენი, რომელნიც იმ თავით ამ თავამდე თავს არა ზოგავენ სახალხო სცენისთვის. სავალალოც ის არის, რომ მთელი აურ-ზაური, რომელიც სახალხო თეატრის გარეშემო ასტყდა, გამოიწვიეს არა სახალხო თეატრის ნამდვილმა მოღვაწეებმა — სცენის მოყვარეებმა, — არამედ გარეშეების—სექციისა და უნივერსიტეტის წევრების თავმოყვარეობამ. აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გაიჭყლიტაო. სწორედ ასე მოსდის სახალხო თეატრს. სცენის მოყვარენი მუშაობენ და შრომობენ, უნივერსიტეტისა და სექციის წევრები კი ყურებს გვიჭედავენ — ხალხისთვის ოფლსა ვღვრითო.

წინადაც და ეხლაც სახალხო წარმოდგენებს აწარმოებდნენ სცენისმოყვარენი, მაშასადამე თეატრიც მათ ხელში უნდა იყოს.

# დეპეშები
პეტერბ. დეპეშითა სააგენტოსაგან
30 დეკემბერი.

### საზღვარ-გარედ

**ათინა.** დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი დამატებით კრედიტების შესახებ. ფინანსთა მინისტრმა ნდობის გამოცხადება მოითხოვა.

**სტამბოლი.** გუშინ, 29 დეკემბერს, დიდმა ვეზირმა ხაკი-ბეიმ რიფაატთან, ჯავიდთან და თალაათთან ერთად შეიმუშავა ახალ სამინისტროს პოლიტიკური პროგრამა. თუ ეს პოლიტიკური პროგრამა სამინისტროს წევრების სხვა კანდიდატებმა მოიწონეს, სამინისტრო საბოლოოდ შესდგება საზღვაო მინისტრობას აძლევენ—ხალილ-ფაშას, საერო განათლებისას—დეპუტატთა პალატის ახალგაზრდა ოსმალთა ფრაქციის ლიდერს, ხალილ-ბეის, საეკკლესიო მამულების—ილირაიდარს, სამთო უწყების—კოპასსისს და შეიხულისლამობას—საიბუმულას.

**ბერლინი.** დაიწყო პრუსიის ლანდტაგის სესსია. ლანდტაგის პირველი სხდომა გაიხსნა სეფე-სიტყვით. სეფე სიტყვაში ნათქვამია, რომ 1910 წლის ბიუჯეტი დიდ დეფიციტს იწვევს, რადგან საჭიროა სხვა და სხვა რკინის გზების გაყვანა და ამას კი დიდი ფული სჭირდებაო. სეფე-სიტყვაშივე აგრეთვე აღნიშნულია განზრახული რეფორმები.

**ქრისტიანია.** დღეს, 29 დეკემბერს, ახლად არჩეულ დეპუტატთა პალატას პირველი სხდომა ჰქონდა.

**ვენა.** იმპერატორმა მიიღო გრაფი ხედერვარი. აუდიენციის შემდეგ ხედერვარმა განაცხადა, იმპერატორმა მომანდო ჰუნგრეთის სამინისტროს შედგენაო.

**ლონდონი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. გრეიმ, სხვათა შორის, სთქვა: გერმანიასთან ომზედ ლაპარაკს ეხლა საფუძველი აღარ აქვს. ინგლისი და გერმანია სხვა და სხვა სადაო საკითხებს მეგობრულად სწყვეტავენ. შესაძლებელია, რომ საზღვაო შეიარაღების შესახებ შემდეგში რაიმე შეთანხმება მოხდეს და ამისთვის საჭიროა ხარჯი შემცირდეს. ყოველ შემთხვევაში, როდესაც გერმანია საზღვაო შეიარაღების შესახებ თავის პროგრამას დაასრულებს, ჩვენი ფლოტი წინანდებურად ძლიერი იქნება გერმანიის ფლოტზედ და ეს მოსპობს ქიშპობას ამ ორ სახელმწიფოს შორის.

**ბუდაპეშტი.** ლუკაჩმა უარი განაცხადა სამინისტროს შედგენაზედ. ლუკაჩი ხედერვარის სამინისტროში შევა და ფინანსთა მინისტრობას იკისრებს. ხედერვერმა განაცხადა, საარჩევნო უფლებას შევცვლითო.

**პარიზი.** დაიწყო პარლამენტის მორიგი სესსია. ხუთშაბათს მოხდება სენატის პრეზიდიუმის არჩევნები.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად ერთხმად ხელმეორედ აირჩიეს ბრისსონი.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: იაპონია წინააღმდეგია შეერთებულ შტატების მთავრობის წინადადებისა მანჯურიის რკინის გზების ნეიტრალიზაციის შესახებ. იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფმა განაცხადა, ეს წინადადება იმას ნიშნავს, რომ მანჯურიაში უნდა მოისპოს იაპონიის უფლებები, რომლებიც იაპონიამ სისხლით მოიპოვაო. ოფიციოზური გაზეთი „კოკუმინშიმბუნ"-ი კითხულობს: გერმანია და საფრანგეთი მზად არიან თუ არა მანჯურიის და იუნნანის პროვინციები ნეიტრალურად გამოაცხადონო.

**ბერლინი.** გერმანიის კომპეტენტური წრეები ამერიკის მთავრობის წინადადების შესახებ ამბობენ, რომ ამერიკის მთავრობამ თავისი წინადადება პირველად ინგლისის მთავრობას გაუგზავნა, რომელმაც განაცხადა, წინადადების მომხრე ვარო. გერმანიამ ინგლისს მიჰბაძა, რადგან ამერიკის წინადადება შორეულ აღმოსავლეთში ყველა სახელმწიფოებს ერთნაირ უფლებებს აძლევს, რაიც სამართლიანია და გერმანიის საგარეო პოლიტიკას შეეფერება. გერმანია ამ შემთხვევაში ისე მოიქცა, როგორც იაპონიის მოკავშირე და რუსეთის მეგობარი ინგლისი.

**ბერლინი.** დაიწყო რეიხსტაგის სხდომები. განიხილეს შეკითხვა მეკლენბურგის კონსტიტუციის შესახებ. მთავრობის წარმომადგენელმა სთქვა: მოკავშირე სახელმწიფოები არ ჩაერევიან მეკლენბურგის შინაურ საქმეებში, რადგან ამა თუ იმ მოკავშირე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევას გერმანიის იმპერიის ფედერაციის დარღვევად სთვლიანო. ლანდტაგი შეუდგა 1910 წლის ბიუჯეტის განხილვას. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა: თუ შემდეგშიაც ვაჭრობა-მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ივლიან გერმანიის ფინანსებს ხიფათი არ მოელით. ჩვენ შევძლეთ, რომ 1910 წლის ბიუჯეტი 92 მილიონით შეგვემცირებინაო.

### რ უ ს ე თ ი

**რიაზანი.** რიაჟსკის სატუსაღოდან გაიქცა ოთხი კატორგელი. გაქცეულებს სატუსაღოს ზედამხედველები და დარაჯები დაედევნენ. მოჰკლეს ერთი, დასჭრეს მეორე კატორგელი. ორმა ტუსაღმა თავს უშველა. მოჰკლეს ერთი, დასჭრეს ორი ზედამხედველი.

**მინსკი.** ადგილობრივ ქალთა ერთმა ჯგუფმა ადმინისტრაციის დასამტკიცებლად წარუდგინა ქალთა კლუბის წესდება. ქალთა კლუბის მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა [illegible]

[illegible]

## ნამდვილი მეურნე[illegible]

[illegible]

# საიდან უნდა იშოვნოს გლეხმა მეურნეობაში საჭირო ფული?
(დასასრული *)

**რა საქმეებს აწარმოებს ამხანაგობა.**

როცა ამხანაგობა ნებართვას მიიღებს და საჭირო ფულსაც იშოვნის, შეუძლიან მოქმედების დაწყება. უწინარეს ყოვლისა ამხანაგობის წევრნი ერთად თავს იყრიან და შემდეგ საქმეებს აკეთებენ: ილებენ ამხანაგობაში წევრობის მსურველთ; ნიშნავენ იმ სარგებლის რაოდენობას, რომელიც ამხანაგობამ უნდა გამოართვას გაცემულ სესხებში; ნიშნავენ ანაბარის სარგებელს თუ ანაბარი გრძელ ვადიანია (მაგ., სამი ან ოთხი წლით), სარგებელი უფრო დიდი ინიშნება, თუმანზე თვეში ერთ შაურს (წელიწადში თუმანზე სამ აბაზს), ხოლო მოკლე ვადიან ანაბარში ნაკლებს, მაგ., თუმანზე წელიწადში ათ შაურს (50 კ.); უნიშნავენ გამგეობას, თუ რა სარგებლით ისესხოს ფული, და სესხის აღების ნებართვას აძლევენ; ნიშნავენ აგრეთვე იმას, თუ რამდენი შეუძლიან გამგეობას ისესხოს და ანაბარი მიიღოს (ჯერ-ჯერობით); ნიშნავენ ამხანაგობის საწარმოვოდ საჭირო ხარჯს და, დასასრულ, ირჩევენ ამხანაგობის საქმეთა გასაძღოლად გამგეობის სამს ან ოთხს წევრს. ხოლო მათ სარევიზიოდ—მეთვალყურე საბჭოს სამს ან ოთხს კაცს. გამგეობა, როგორც კი არჩეულ იქნება და საჭირო ფულსაც ჩაიბარებს, მუშაობას იწყებს. აძლევს სესხებს და ჰკრეფს ვალებს, იღებს ანაბარს და სხვა საქმეებს აწარმოებს. ამისათვის ნიშნავს განსაზღვრულ საათებს კვირა-უქმე დღეებში.

ამხანაგობის წევრებზე სესხი გაიცემა ან პირადის ნდობით (უთავდებოდ) ან ვისიმე თავმდებობით ან და რაიმე ქონების გირაოდ. ამხანაგობათა უმეტესი წილი სესხს იძლევა პირადის ნდობით, რადგან გამგეობამ კარგად იცის წევრთა გარემოება, იცის, ვისზე რა თანხის განდობა (გასესხება) შეიძლება. ამხანაგობა აძლევს სესხს აგრეთვე თავმდებობით და რაიმე ქონების გირაოდ.

ამხანაგობა ორ გვარ სესხს აძლევს წევრებს: ან მეურნეობისათვის რამე სასარგებლო საქმეზე, ანდა—თუ წევრს ფული დასჭირდა სახარჯოდ; ამ შემთხვევაში სესხი ძალიან მცირეა, პატარა. ყოველი წევრი, რომელიც კი ამხანაგობაში ფულს ისესხებს, მოვალეა გამგეობას მოახსენოს, თუ რა საქმისათვის, რა მიზნით თხოულობს ფულს. გამგეობა კი ამ შემთხვევაში ვარაუდობს, რამდენად სასარგებლოა წევრის მიერ განზრახული საქმე, სარფიანია იგი თუ არა, დროზე აუნაზღაურებს პატრონს დანახარჯს, რომ მან ვადაზე ჩააბაროს ამხანაგობას ვალი. ყველა ამას რომ გაითვალისწინებს გამგეობა, მაშინ გადასწყვეტს, მისცეს წევრს ფული თუ არა. თუ სესხი მისცა, გამგეობამ წევრს თვალ-ყური უნდა ადევნოს, მართლა უჭირდა ამხანაგს ფული და სწორედ განძრახულ საქმეზე დახარჯა თუ არა?

[illegible]

*) იხ. „დროება" N 290.

ქალაქის საჯამაგირო ამასთან ერთად არ იმ- ქალაქის დახშულ ატმოს- მლის პირობებსაც ყოვე- ლი სოფლის კაცობრიო- რად დამაზარმაცებლად. რმანელი, მიუხედავად იმი- წა რიყიანი და კირიანია, ს არავითარ ძალას იმის ესებლად, აყრის სისხლის ივენ სასუქს, არა სტოვებს ებლად კარ-მიდამოსაც. არის ჩვენში. იმის მაგიერ, ამა ზამთარში მოგროვილი წას დააყაროს და გააუმჯო- იაქვს მახლობელ ხევში და ჩვენში, სადაც მიწა მეტს ეა მცენარეც უკედ ხარობს, ებას არ აქცევენ სოფლის მე- ის აღორძინებას. რასაკვირ- ვენ ჩამორჩენას სასოფლო მე- ბაში თავისი მიზეზები აქვს, ეხლა მაინც გამოვფხიზლდეთ ვყოთ ამ საქმეს ხელი. ქართვე- უმრავლესობას არა აქვს სურვი- სოფლის მეურნეობას მიჰყოს ხე- ყველა გაურბის სოფელს; დ არის თვეში 10—15 მან. იმსა- რონ, ვიდრე სოფლად იმუშაოს, ტი ვილოს და თავის თავის ბატონ- ტრონადაც თითონ იყოს.

ამასთან თუ პრიმიტიულ მოქმედებს ზურგი არ ვაქციეთ და ახალს არ მოვკიდებთ ხელს, არა გამოვა რა. ამიტომ საჭიროა სოფლად ინტელიგენცია, რომელსაც შეეძლება უკიდურეს შემთხვევაში თვით შეისწავლოს სამეურნეო საგნები და პრაქტიკულად დაანახოს საქმე უსწავლელთ. დროა ყოველმა მამამულემ თავისი შვილი აღზარდოს ნამდვილ მეურნედ და არა ჩინოვნიკად, როგორც ხდება ეხლა. პირველი დამცემი კაცობრიობისა არის ფიზიკური ხელგაუნძრევლობა და თუ კაცს სწავლასთან ერთად ფიზიკური მუშაობაც აქვს, ამ შემთხვევაში ყოველი მისი ძალა და ენერგია გაორკეცდება.

თითონ მშობლები არიან დამნაშავენი, რომ შვილებს პატარაობიდანვე არ აჩვევენ სწავლასთან ერთად ფიზიკურ მუშაობასაც. ბევრჯელ უთქვამთ ჩვენში: „ჩემი შვილი გიმნაზიაში იმიტომ მივეცი, რომ ფიზიკური მუშაობა აღარ დასჭირდესო“. ის-კი არ იციან, რომ სიკეთის ნაცვლად უფრო ვნებას აყენებენ ბავშვებს, რადგან ბავში პატარაობითვე მოშორებულია სოფელს, ფიზიკურ მუშაობას; არ არის დაინტერესებული მეურნეობით, მისი სხეული პატარაობიდანვე ეჩვევა ზარმაცობას და დიდობისას, რომ მოისურვოს კიდეც მეურნეობა, ვერ მოახერხებს. ჩემის აზრით, ის მეურნე არ არის, ვისაც არ შეუძლიან სხვის დაეხმარებლად მეურნეობის რომელიმე ნაწილის სისრულეში მოყვანა.

ასე თუ ისე, უნდა დაარსდეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, სადაც შესაძლებელი იქნება ყველა დარგის თეორიულად და პრაქტიკულად შესწავლა. შეიძლება ჯერ-ჯერობით მოუხერხებელი და შეუძლებელი იყოს სასწავლებლების დაარსება, მაშინ აუცილებლად საპრაქტიკო კურსები მაინც უნდა მოეწყოს, ისეთი, როგორიც გერმანიაში არსებობს. მხოლოდ ამით შეიძლება ჩვენში მეურნეობის გაუმჯობესება, ნუ შევყურებთ მარტო მთავრობას, ნურც ერობის მოლოდინში დავიკრებთ გულზე ხელს. ერობის შემოღებას თავის-თავად უნდა ვცდილობდეთ, მაგრამ საჭიროა ეხლავე გავანძრიოთ ხელი და გავაკეთოთ რამე. ხომ ვაარსებთ გიმნაზიებს და პროგიმნაზიებს, რატომ არ შეიძლება სამეურნეო სასწავლებლებისა და კურსების დაარსება? დღე არ გავა გაზეთში არ ეწეროს, რომ ამა და ამ დაბაში გიმნაზიას ან პროგიმნაზიას აარსებენო. იმას რა ემჯობინება, სამეურნეო სასწავლებელში ერთსა და იმავე დროს ბავშვებმა განათლებაც მიიღონ და პატარობითვე სამეურნეო ცოდნასაც შეეთვისნენ. ტყუილად კი არა სთქვა ლექციის დროს ერთმა გერმანელმა პროფესორმა: „კავკასია მდიდარია ბუნებით, მაგრამ სამწუხაროდ იქ ცოტაა ნასწავლი ხალხიო“. მართლაც, თუ ვინმე ნასწავლი და განათლებულია, „ჩინოვნიკია“, რომელიც დაინტერესებულია მარტო საბუთის ქაღალდებით და არა მეურნეობის გაუმჯობესებით. **რ. გ—შვილი.**

## პროფესორის მარრის საინტერესო მოგზაურობა

როგორც ვიცით, ჩვენი სასიქადულო თანამემამულე და ნიჭიერი მეცნიერი აკადემიკოსი ნიკო მარრი ანის სამწლო გათხრათა შესრულების შემდეგ გაემგზავრა ლაზისტანს ამ ქვეყნისა და მის მკვიდრთა ენის შესასწავლად. ლაზისტანი, მისი მკვიდრნი. ენა დიდიხანია ინტერესებდნენ ჩვენს მეცნიერს, მაგრამ მოუცლელობა ხელს უშლიდა და აფერხებდა ამ საინტერესო მიზნის განხორციელებას. დღემდი ჩვენ არაფერი ვიცით მეცნიერის ამ ფრიად საინტერესო მოგზაურობის შესახებ, იმ ორიოდე ცნობის გარდა, რომელსაც გადმოგვცემს გაზ. „მშაკის“ კორესპონდენტი ბ-ნი ლიუნ-ქე. („მშაკი“, № 284, ფელეტონი.)

როგორც გადმოგვცემს ბ-ნი ლიუნ-ქე, მას საუბარი ჰქონია ნიკო მარრთან ამ საგნის შესახებ და მოგვითხრობს შემდეგს:

ბ-ნ მარრს დაუყვია ლაზისტანში 24 დღე და ამ დროის განმავლობაში შეუკრებია მრავალი თვალსაჩინო მასალა, როგორც ლინგვისტიური, ისე გეოგრაფიულიც. მწერლობის ნაშთი ვერაფერი უნახავს. ზეპირსიტყვაობის სახალხო სიტყვიერებისა და ეპოსის შეკრების ცდამაც ჯერ-ჯერობით თვალსაჩინო ვერაფერი აღმოაჩინა.

„ლაზები დროთა განმავლობაში რჯულის გამოცვლის გავლენის ქვეშ გათათრებულან და ხშირად თაკილობენ თავიანთ ენაზე ლაპარაკსაც-კი. დედა-ენა, ლაზური, მათში პატივცემული როდია: იგი კარგად დაცულია მხოლოდ ქალებში, ე. ი. უმეტეს ნაწილად დედაბრებში, სხვათა შორის, ცნობის მოყვარეობის ღირსია, რომ ლაზების ახალთაობას [illegible] ცოლად მოჰყავს უცხო ტომის—რუსის, ებრაელის და პოლონელის ქალები. ლაზის ხალხი თვის ღირსებებთან ერთად ჯერ ისევ ველურია. თუმცა ნიჭიერი ხალხია, მაგრამ მათი ნიჭიერება ვიწრო-ჩვეულებრივ გაიძვერაობას უდრის.

„ბ-ნი მარრი ძალიანა სწუხს, რომ მან ვერ მოახერხა შეესრულებია თავისი კვლევა-ძიება ქალთა წრეში. ამ მიზეზით მან ვერ შესძლო ჩაეწერა ადგილობრივი ვრცელი ლეგენდები და თქმულებები წმიდა ლაზურ ენაზე. აგრეთვე ნება არ მისცეს, გადაეღო ქალები, და რომ ერთს მარჯვე შემთხვევას არ შეეწყო ხელი, იგი ყოველ ღონეს მოკლებული იქნებოდა მოეთავსებინა თავის ალბომში ლაზის ქალის სურათები.

„ლაზები ბევრ ადგილას ბ-ნ მარრს ეპყრობოდნენ აშკარა სიფრთხილით და უნდობლობით, ეჭვის თვალით უცქეროდნენ მის პირდაპირ მიზნებს. ამ მიზეზით კვლევა-ძიება სწარმოებდა ერთგვარს საშიშარ პირობებში.

„თითქმის ცოტა აკლდა, რომ ერთ შემთხვევაში კინაღამ დაიჭირეს იგი. და რომ ადგილობრივი ახალგაზდა ოსმალები არ ჩარეოდნენ, შეიძლებოდა მომხდარიყო გვარიანი უსიამოვნებაც. ადვილი წარმოსადგენია, რომ ამგვარ პირობებში მას გაუძნელდებოდა ადგილების სახელების ჩაწიშვნაც კი თავის უბის წიგნში, რადგან ყოველ ამ გვარ ნაბიჯს შეეძლო გამოეწვია დიდი უსიამოვნება. ამ გვარ პირობებში ფიქრიც კი არ შეიძლებოდა გეოგრაფიული რუკის შესწავლასა და შეჯერებაზე. ამიტომ დღისით მარრი იძულებული იყო სრულიად თავი დაენებებია რუკის გადახედვისთვის. მხოლოდ, ხანდახან, საღამოობით, ქრაქის სინათლეზე გირდაშლიდა ხოლმე თან ქონებულ რუკას, რომელსაც, მისივე სიტყვით, ბევრი რამ აკლია. ბევრის დაბრკოლების მიზეზით ძალიან გაძნელდა ლაზისტანის შესწავლის საქმე. მაგრამ ზოგიერთმა მარჯვე შემთხვევამ და კვლევა-ძიებამ გამოიღო მდიდარი ნაყოფი. მეცნიერს გაუცვნია, სხვათა შორის, ეზდი-ბეი, რომლისაგანაც შეუკრებია სხვა და სხვა საკითხის შესახები მრავალგვარი ცნობა.

„ლაზების ანუ ჭანების ენა ეკუთვნის იაფეტური ენების თუბალ-კაენიანთა შტოს და მონათესავეა მეგრულის ენისა. განიყოფება ორ დიალექტად: დასავლეთის—არაყელის მურად, აღმოსავლეთის—ყელის მურად.

„აღმოსავლეთის ლაზური თავისის მხრივ იყოფება ორად: რომელთაგან ერთს—ატვინელს—აქვს ორი შტო. ერთი ამ შტოთაგანი შენახულია მხოლოდ ერთ სოფელში, ხოლო მეორე გადაშენებაზეა და აქა-იქა მხოლოდ კვალს-ღა თუ შენიშნავ. მეცნიერთათვის ლაზთა ენას დიდის სამსახურის გაწევა შეუძლია, რადგან იგი შეიძლება გახდეს საუკეთესო გასაღებად ძველ ლურსმულ წარწერათა ასახსნელად (წასაკითხავად). თუ გავითვალისწინებთ, ვინ იყვნენ მახლობელ არემარეში ყოფილი ელამები, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს წარსულში და ცნობილ იყვნენ, როგორც სურელთა და ბაბილონელთა დაუძინებელი მტრები, შეგვეძლება აღმოვაჩინოთ მონათესაობა ან რაიმე სხვა დამოკიდებულება მათსა და ლაზთა შორის, რაც თავის მხრით გახდება საშუალებად გავხსნათ ერთი წილი იმ რთულის მურგვისა, რომელიც დაიგვიტოვა სიძველემ: ელამთა ძლიერება დაეცა ასურისტანის მეფის ასურბანიპალის დღეებში, ე. ი. ასურისტანის დაცემაზე 20—30 წლით ადრე. უფრო ადრე ხანებში ელამები ებრძოდნენ ბაბილონელებს. რამდენჯერმე შესევიან ბაბილონს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონმდებლობაც კი აღმოაჩინეს ელამთა ქვეყანაში.

„ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ელამებმა ბაბილონს შესევის დროს იპოვეს კანონმდებლობა და ღმერთების ქანდაკებანი და წაიღეს თან ელამს.

„როდესაც მეცნიერება გამოარკვევს წინა აზიის ერთა და მათ რიცხვში ლაზური ენის დამოკიდებულებას ელამურ ენასთან, მაშინ მხოლოდ მეცნიერთათვის მოინახება ძველის ისტორიის ერთის ფრიად საინტერესო გვერდთაგანის წაკითხვისათვის მცირედი გასაღები. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ელამთა ძველის ყოფა-ცხოვრების აღმოკითხვა დიდ სამსახურს გაუწევს ვანის ლურსმულ წარწერათა მკვლევარებსაც.

„ჯერ-ჯერობით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას შემდეგი: მეცნიერება მრავალის ჰიპოტეზის შემდეგ დიდ აღმოჩენათა ფართო გზას წაადგა და გაჰფანტა ის დიდი წყვდიადი, რომლითაც დიდ ხანს იყო მოცული კაცობრიობის ჭკუა-გონება, რადგან მას ვერ მიეღო ვერავითარი გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ.

„ლაზისტანის მოგზაურობას თავისი პირველი მეცნიერული მასალით შეუძლიან ახადოს სიდუმლოების ზეწარი იმ ქვეყანას, რომელიც ისე ახლო ყოფილა დიდ ისტორიულ დრამათა თეატრის სცენაზე და რომელიც დღემდის გამოუკვლეველი და წყვდიადით მოცული იყო“.

აი, ამ სიტყვებით გადმოგვცემს ბ-ნი ლიუნ-ქე ჩვენის სათაყვანო თანამემამულის ბ-ნ ნიკოს ნაუბარს.

პროფ. მარრის ეს მოგზაურობაც მჭევრმეტყველურად მოწმობს, რომ თუ ადამიანს მოწოდება აქვს, ვერაფერი დაბრკოლება ვერ შეაფერხებს მას. ნ. მარრის ცხოვრება სამოძღვრო-სამაგალითო უნდა იყოს დღევანდელის ზნეობრივ გაკოტრებულისა და სულით დაძაბუნებულის ქართველისათვის. ეს კეთილშობილი ადამიანი სიყრმიდანვე ებრძოდა ყოველგვარ სიძნელესა და დაბრკოლებას, მედგრად და უშიშრად არღვევდა და უარჰყოფდა ჩვენის წარსულის შესახებ გამეფებულ შეცდარ აზრებს, გვიკაფავდა გზას ჭეშმარიტებისა და სიმართლისაკენ და დღეს, როდესაც იგი მოწიფული მეცნიერი და უნიჭიერესი მკვლევარია,— დღესაც კი მოიპოვებიან თურმე აქა-იქ ისეთი ადამიანები, რომელნიც წყალსა და მეწყერს უგზავნიან ამ „მართლა ნიჭიერსა და დიდ ბუნებოვანს მეცნიერს“, როგორც ეს სამართლიანად უწოდა მას ერთმა მისმა ღირსეულმა მოწაფეთაგანმა.

**Justus.**

---

ნახა რომ ყველ-გასული წევრი ამხანაგობისათვის ძალიან სასარგებლოა, მხნედ მუშაობდა, შეუძლიან მასი ხელახლა არჩევა იმავე თანამდებობაზე.

საკრედიტო ამხანაგობას შეუძლიან აგრეთვე შემდეგში, როცა საკმაოდ ფეხს მოიმაგრებს, სესხი გასცეს წევრებზე ხორბლის გირაოდ, იყიდოს ნარდად წევრთათვის საჭირო მასალა—იარაღი, მაგ. გუთან-ფარცხი, სიმკალი და სათიბი მანქანები, ნალების მოსახდელი მანქანები და სხვა, სასუქი (ხელოვნური პატივი), თესლი, ხეხილის ხეები შეუძლიან აგრეთვე წევრებს, მათის დავალებით, გაუყიდოს კარგ ფასად მეურნეობის ნაწარმოები (პური, თაფლი, ერბო, ყველი, მატყლი და სხვა)

დიდი მნიშვნელობა აქვს პურის ღვინის ალებაზე სესხის გაცემას. ხშირია ხოლმე ჩვენში, რომ გლეხი იძულებულია გაჰყიდოს ჯერ კიდევ მარიამობისთვეში, რათა საჭირო ხარჯს გაუძლვეს. ამ დროს არც მაზანდა, არც რიგიანი მუშტარი. ხშირად ისიც მოხდება ხოლმე, რომ შემოდგომაზე ჰყიდის პურს კოდს თორმეტ აბაზად, გაზაფხულზე კი თავისსავე პურში იხდის კოდში ხუთ ან ექვს მანეთს. აი სწორედ აქ გამოადგება მას ამხანაგობა. გაჭირვებულ წევრს გამგეობა აძლევს სესხს პურის გირაოდ, და როცა კაი მაზანდა დადგება, პურს ან თითონ პატრონი ჰყიდის, ანდა იმის თხოვნით ამხანაგობა. მერე ერთმანეთში ანგარიშს ასწორებენ.

ამხანაგობას შეუძლიან სესხი მისცეს აგრეთვე ხელოსნებს მათ ნაწარმოებთა გირაოდ. ზოგიერთი ამხანაგობა ამ ნაწარმოებთა გაყიდვასაც კისრულობს.

ამხანაგობას შეუძლიან აგრეთვე დროზე გაგება, თუ სად უფრო საჭიროა მის წევრთა მეურნეობის ნაწარმოები, შეუძლიან ერთად თავი მოუყაროს [illegible] საქონელს და კაი [illegible]ოს. ამხანაგობას შეუძლიან აგრეთვე ყიდვა სხვა და სხვა საქონლისა.

სამწუხაროდ, საშუამავლო და საგირაო მოქმედებას წესები, მთავრობისაგან დამტკიცებული, ზღუდავს ამხანაგობის მოქმედებას ამ მხრივ. მაგრამ ამხანაგობას შეუძლიან თავისი წესები შემუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს **მცირე კრედიტის** გამგეობას.*)

**რითი განირჩევიან შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი?**

შემნახველ-გამსესხელ ამხანაგობანი განირჩევიან საკრედიტო ამხანაგობისაგან მხოლოდ იმით, რომ მისი წევრნი მოვალენი არიან შეიტანონ „საწევრო ფული“ ძირითად თანხის შესადგენად. საწევრო ფულის რაოდენობა, თანახმად წესდებისა, არ უნდა იყოს ერთ თუმანზე ნაკლები და არც ათ თუმანზე (100 მ.) მეტი. ამ ფულის შეტანა წევრებს შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილადაც. მხოლოდ წელიწადში არა ნაკლებ ერთის მანეთისა. შეტანილ საწევრო ფულზე წევრნი იღებენ სარგებელს, მხოლოდ არა უმეტეს მანეთისა წელიწადში თითო თუმანზე. დანარჩენში შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა არაფრით განირჩევა საკრედიტოსაგან.

*) უცხოეთში სოფლის მეურნენი ამ საქმეს აგვარებენ საგანგებო ამხანაგობებს, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს; ჩვენშიაც შეიძლება ამის მოგვარება. იხ. „[illegible]“ N 5, 6, 1909 წ. „წვრილ სასოფლო-ამხანაგობათა სანიმუშო წესდება“.
ე. კ.

### საკრედიტო ამხანაგობის დაარსების წესრიგი.

საკრედიტო ამხანაგობის დაარსების მსურველებმა უწინარეს ყოვლისა უნდა გულდასმით გადიკითხონ „საკრედიტო ამხანაგობის სანიმუშო (სამაგალითო) წესდება, რომლის დაბარება შეიძლება ტფილისისა და ბათომიდან სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან, მცირე კრედიტის ინსპექტორისაგან. როცა კარგა გაიცნობენ წესდებას, მოილაპარაკებენ და შეთანხმდებიან, განცხადება, დაწერილი რუსულ ენაზე, უნდა გაუგზავნონ ტფილისში (თუ ამხანაგობა არსდება ტფილისის გუბ.) და ბათომში (თუ ქუთაისში) სახელმწიფო ბანკში, მცირე კრედიტის ინსპექტორს, რომ ამხანაგობის დაარსება სურთ. მცირე კრედიტის ინსპექტორი გამოჰგზავნის თხოვნის ნიმუშს, სადაც დამფუძნებელმა წევრებმა უნდა ჩაიწერონ საჭირო ცნობები (რუსულად, რასაკვირველია). აგრეთვე შეავსონ საჭირო ცნობებით ორი ფურცელი, რომელიც დამფუძნებელ წევრებს გაეგზავნებათ თხოვნის ნიმუშთან ერთად. არავითარი მარკა არ არის საჭირო თხოვნაზე.

ტფილისის გუბერნიისათვის ქ. ტფილისში სახელმწიფო ბანკთან არსებობს თანამდებობა „მცირე კრედიტის ინსპექტორისა“. ამ მოხელის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა დაარსებას. იგივე ეხმარება დამფუძნებელ წევრთ ამხანაგობის დაარსებაში. ამისთანა მოხელე ბათომის სახელმწიფო ბანკის განყოფილებასთანაც არის. თუ ამხანაგობა არსდება ქუთაისის გუბერნიაში და ბათომის ოლქში თხოვნა უნდა გაეგზავნოს ბათომის მოხელეს.

ე. კარბელაშვილი.

---

„დროების“ სურათებიანი დამატება, კვირის ნაცვლად, გამოვა ხვალ, ორშაბათს. შინაარსი: „გედაგ“, ლექსი გრიშაშვილისა; „სევდის ბინდ დასს“, ლექსი ს. შანშიაშვილისა; „საახალწლო სურათები“, თარგმანი კორდელისა; თავის ახალი საგროვებლები, რ. გ—შვილისა; ტყუპ-დები, —შვილისა. სურათები: „დედის ნუგეში“, ეკატერინე გაბაშვილისა; თავის საგროვებლები (ორი სურათი), და ტყუპ-დები.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ცნობების მოთხოვნა.** „კასპი“-ს სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკს კავკასიის გენერალ-გუბერნატორებისა და ბაქოს გრადონაჩალნიკისთვის უბრძანებია, შემატყობინეთ სამხედრო და განსაკუთრებულ წესების დროს სავალდებულო დადგენილების დარღვევას გამო რამდენი ჯარიმა შემოვიდა, ამ ფულიდან რამდენი შევიდა ხაზინაში და რამდენი მოხმარდა სხვა საქმეებს.

✦ **დახმარება მუხრანის სკოლას.** ქართლის საუფლისწულო მამულების გამგემ კოლოტოვმა შუამდგომლობა აღძრა საუფლისწულო მამულების მთავარ სამმართველოში, რომ ქართლის მამულების მომუშავეებისათვის დაარსებულიყო სკოლა. მთავარმა სამმართველომ შუამდგომლობა არ შეიწყნარა, მხოლოდ სოფელ მუხრანის სკოლას ყოველწლივ დახმარებად დაუნიშნა 300 მანეთი, იმ პირობით კი, რომ საუფლისწულო მამულების მუშების შვილებმა უსასყიდლოდ ისწავლონ ამ სკოლაში.

✦ **ცარცვა-გლეჯა.** დეპეშით საავგენტო იუწყება: 29 დეკემბერს ზუგდიდში ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ბოქაულ სულაძევის სახლს. უცნობებმა შეჰკრეს ბოქაულის ცოლი, წაიღეს 480 მანეთი, ძვირფასი ნივთები, იარაღი და მიიმალნენ.

✦ **„კაპეიკი“.** ტფ. ინტელიგენციის ერთ წრეში დაიბადა აზრი ქუჩაში მოხეტიალე უპატრონო ღარიბ ბავშვთა მოვლა-პატრონობის შესახებ. უკვე შესდგა საზოგადოება „კაპეიკი“, რომლის წესდებაც უკვე დამტკიცებულია, წევრი საზოგადოების სასარგებლოდ იხდის 1 კაპ. საზოგადოების ახალ გამგეობას ამ დღეებში ჰქონდა სხდომა და დაადგინა, მოწოდებით მიმართოს საზოგადოებას.

✦ **ქალაქის აღრიცხვა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ აცნობა გუბერნატორს, რომ საბჭომ უკვე დაასრულა 1910 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვა და მალე წარუდგენს დასამტკიცებლად. გამგეობამ სთხოვა გუბერნატორს, ნება დართოს საბჭოს, დადგენილების თანახმად, ქალაქის გამგეობა მომავალ წლის აღრიცხვის დამტკიცებამდე იხელმძღვანელებს 1910 წლის აღრიცხვით.

✦ **შემოწირულებანი.** [illegible] ვენ დავბეჭდოთ: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ მიიღო შემოწირულებანი: ალექსანდრე სიმონის ძე გამრეკელისაგან—რუსული წიგნი სათაურით „საბა ორბელიანი და მისი ქართული ლექსიკონი“ (კრიტიკული განხილვა ნიკოლოზ გამრეკელისა), პოემა „ალდუზიანი“, გამოცემა ნიკოლოზ გამრეკელისა; „წესდება სასჯელთაზედა, რომელთაც გადასწყვეტენ მომრიგებელნი მსაჯულნი“, თარგმნილი და გამოცემული ნ. გამრეკელის-მიერ; სამეფო ქარტა, ანუ ტომარი, მირთმეული ბერძნის იმპერატორის იუსტიანესადმი აღაპი კონსტანტინეპოლის სოფიის წმინდის ეკლესიის დიაკონის—მიერ (ხუცური); „კარაბადინი“; საქართველოს სიძველენი, პირველი რვეული—ეგვიპტელები საქართველოში და ქართველები ეგვიპტეში (ნ. გამრეკელისა); „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა (მხედრული ხელნაწერი ყდაში); „წმინდანების ცხოვრება, აღმორჩევით შემოკრებილი უფალი ლუკა არხიმანდრიტისაგან ინჯიჯიანისა (სომხურიდან თარგმნილი) სამსონ ივანეს ძე წვერავასაგან— სამი მანეთი.

✦ **უპასპორტოები.** 28 დეკემბერს პოლიციის 1 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 38 და მე-8 ნაწილში 25 უპასპორტო კაცი.

✦ **წვრილი კრედიტის საზოგადოება მუხრანში.** მუხრანის გლეხობამ თხოვნა გაუგზავნა წვრილი კრედიტის ინსპექტორს მუხრანში წვრილი კრედიტის საზოგადოების დაარსების შესახებ. დამფუძნებელი წევრნი უკვე ჩაეწერნენ.

✦ **ქარ ბუქი.** ბევრგან კავკასიაში ქარ-ბუქი და დიდი თოვლია. ამის გამო კავკასიისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მატარებლები რიგზე ვერ დადიან. ორი დღეა სატახტო ქალაქების ფოსტა და გაზეთები არ მოსულა. დიდი ნამქერებია განსაკუთრებით ბალაჯარასა და ლერბენტს შუა.

✦ **საგანგებო სხდომა.** კვირას, 3 იანვარს, დღის 12 საათზე, მოხდება ტფ. ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომა ქალაქის თვით-მმართველობის 35 წლის არსებობის აღსანიშნავად.

✦ **გამგეობის წევრი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ უკვე წარუდგინა დასამტკიცებლად გუბერნატორს საარჩევნო ფურცელი ბ-ნ ნ. ვ. კოკჩაევისა, რომელიც საბჭომ გამგეობის წევრად აირჩია. საბჭომ კოკჩაევს ჯამაგირად დაუნიშნა 3850 მან.

### ქუთაისი

✦ **ქალაქის საბჭო.** უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის საბჭომ დაადგინა: ა) გაიგზავნოს მოსკოვს სრულიად რუსეთის ექიმთა კრებაზე დასასწრებლად ქალაქის ექიმი ბ. ა. ლეჟავა, რომელსაც მიეცეს ხარჯისათვის 300 მანეთი; ბ) ეცნობოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ ქალაქს არც თავისი საკუთარი ადგილები აქვს, რომ უსასყიდლოდ დაუთმოს მთავრობის საქალაქო სასწავლებლებს შენობების ასაგებად და არც შეძლება აქვს, რომ იყიდოს მათთვის სადმე ადგილები; ქალაქს შეუძლიან მხოლოდ, უსასყიდლოდ მისცეს სასწავლებლებს ეკლარის მადნიდან შენობისათვის საჭირო ქვა; გ) დატოვებულ იქნას 1910 წელს პოლიციის დასახმარებლად დაქირავებული აჟრალების დარაჯთა შტატი, რიცხვით 40 კაცი. მათ შესანახად გადადებულ იქნას უძრავ მამულების დასაფასებელ გადასახადის რაოდენობა—1%-ით, რაც შეადგენს წელიწადში 6,000 მანეთს. დანარჩენი ხარჯი, 7,000 მანეთი კი, ქალაქის გამგეობამ თავის ჩვეულებ-

რივ შემოსავლიდან უნდა დაფაროს; დ) უარი ეთქვას პოლიციის ბოქაულს ფენდრიკოვს ყოველთვიურად ეტლისათვის საჭირო ფულის დანიშვნაზე; ე) ეპატიოს მთავარ-ანგელოზის ეკლესიას ქუჩის გასაკეთებელი ფული—181 მანეთი; ვ) წარედგინოს გუბერნატორს დასამტკიცებლად ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებულ ნიხრი ქიმიურ ანალიზებისა და იმ პირობის პროექტი, რომელიც უნდა დადებულ იქმნეს ქალაქის გამგეობისა და ინჟენერ-ქიმიკოსის რომანოვის შორის; ზ) არსებულ ხორცის ნიხრს მოემატოს გირვანქაზე თითო კაპეიკი, ე. ი. 31 დეკემბრიდან მორეკილი საქონლის პირველის ხარისხის ხორცი უნდა იყიდებოდეს გირვანქა 12 კაპეიკად, მეორე ხარისხის—11 კაპ.; ადგილობრივი ჯიშის პირველი ხარისხისა 10 კაპ., მეორესი—9 კაპ.; ძუძუმწოვარა ხბოს ხორცი—13 კაპ.; მოზრდილ ხბოს და ცხვრის ხორცი—12 კაპ.; ღორის ხორცი—11 კაპ., კამეჩის ხორცი—7 კაპ., სუკი გირვანქა—22 კაპ.

✦ **თოვლი.** ხანგრძლივ დარებისა და თბილ ამინდების შემდეგ მოვიდა თოვლი და ძლიერი ყინვები დაიჭირა. ქალაქში ათასგვარი გადამდები ავადმყოფობაა. განსაკუთრებით ყელ-ჭირვება, ხუნაგი, საოფლე და სხვა.

## მოწერილი ამბები

**სურამი.** წელიწად ნახევარმა განვლო მას შემდეგ, რაც სურამის საზოგადოების წარმომადგენლებმა კარგი საქმე გააკეთეს—სურამში პროგიმნაზია გახსნეს და მხურვალედ შეუდგნენ მის მკვიდრ საძირკველზე დაფუძნებას. დიდი ტანჯვა-ვაება განიცადეს მისმა დამაარსებლებმა, სანამ დანიშნულ მიზანს მიაღწევდნენ. ეს ადვილი წარმოსადგენიც არის, თუ გავიხსენებთ იმისთანა რთულ საქმის გაკეთებას, როგორიც არის სკოლის დაარსება და მერე იმ პირობებში, რა პირობებშიაც მათ უხდებოდათ მუშაობა. დამაარსებელნი მედგრად ებრძოდნენ იმ ბნელ ელემენტებს, რომელთაც ეს აზრი არა თავიანთ სასარგებლოდ მიიჩნიეს, სხვანაირ ეშმაკურ სარჩულით მოქარგეს და მალულად იწყეს ამ საქმის გაბათილება ხალხში სხვა და სხვა ჭორის გავრცელებით, ხოლო მეორე მხრივ კი არა სიმპატიურ წვრილ ვაჭრულ ანგარიშებით გამოწვეულ შურს და ჯიბრს, რომელიც თან დაყოლილი ხვედრია ქართველების ყოველ საქმისა. მაგალითიც თვალწინ გვიდგა.

ყოვლად შეუძლებელი იყო, სურამის სკოლის დამაარსებლებს ეფიქრათ, რომ ყველანაირ სკოლის მოთხოვნილებას და მთლად მის პატრონობას მარტო სურამის საზოგადოება იტვირთებდა. საქმისთვის შეიძლება ხელიც არ მოეკიდნა, რომ სამი ვერსის მანძილზე მდებარე ხაშურის საზოგადოებას თავისი თანაგრძნობა არ განეცხადებინა და მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო იმ საერთო თავისუფალ შემომწირველთა სიაში, რომლითაც მომავალ სკოლის დამფუძნებელ წევრთა ჯგუფი სდგებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ სურამის სკოლის ერთი დამაარსებელთაგანი ბ-ნი გ. მაჭავარიანი ისე ბეჯითად არწმუნებდა წვრ-კ. საზოგადოების გამგეობის ზოგიერთ წევრებს, რომ სურამ-ხაშურის საზოგადოება სულით და გულით მონდომებულია გახსნას პროგიმნაზია საშეურნეო განყოფილებით და თამამათაც შეუძლიან იტვირთოს ერთი სკოლის მზრუნველობაო. ეს იყო მიზეზი, რომ სკოლის მეთაურნი, ხაშურის საზოგადოების ვითომდა გულწრფელ მეშვეობის დაპირებით წაქეზებულნი, არაფერს ერიდებოდნენ, ყველანაირ დაბრკოლებას დასძლიეს და საქმე იქამდის მიაყვანეს, რომ თავის დროზე სასწავლებელი უნდა გახსნილიყო, მაგრამ ამ დროს ხაშურის საზოგადოებამ, ზოგიერთების მეთაურობით, განუცხადა სურამის საზოგადოებას „ჩვენ ჩვენთვის უნდა დავაარსოთ სასწავლებელიო. ამნაირი ღალატი, მერე საქმის დასრულებას, თავზარდამცემი იყო სკოლის მეთაურებისთვის, მით უმეტეს, რომ ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ეს კუთხე მხოლოდ ერთ სასწავლებლის შენახვას შესძლებდა. სკოლის მეთაურებმა ყოველნაირ საშუალებას მიმართეს, სთქვეს: ჯერ-ჯერობის სკოლა აღნიშნულ ადგილას გავხსნათ, შემდეგში-კი მცოდნე პედაგოგების რჩევით სასწავლებელი იმ ადგილას მოვათავსოთ, რომელიც ყველანაირ პედაგოგიურ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებსო. მაგრამ არც ერთმა წინადადებამ არ გასჭრა და ხაშურის საზოგადოებამ თავისი განზრახვა ბოლომდის მიიყვანა, უკუაგდო დაპირება, ჩამოშორდა სურამის საზოგადოებას და დაარსა საკუთარი სასწავლებელი.

დიახ, აქამდის ამ კუთხეს ერთი სასწავლებელიც არა ჰქონდა, ეხლა კი ორი აქვს. არ მცოდნე მკითხველს შეიძლება გაუხარდეს კიდეც, მაგრამ განა წარმოსადგენია, რომ ორი პატარა სოფლის საზოგადოება, რომელიც მხოლოდ ერთად შეერთებული თუ წარმოადგენს რაიმე მატერიალურ ძალას, ორ პროგიმნაზიურ სასწავლებელს გაუძლებს? ეს შეუძლებელია და ადრე თუ გვიან ან ერთი დაიკეტება, ან მეორე, მხოლოდ მათ შორის ჩამოვარდნილი ჯიბრი მ თ აუცილებელ ხვედრს ერთ ხნობით შეაგვიანებს და ეს კი მათ ენერგიის და ძალის ნამდვილ დამაუძლურებელ საშუალებად შეიქნება და ორივე საზოგადოებას ადრე თუ გვიან დიდი მორალურ და ეკონომიურ კრიზისს მიაყენებს. რომ ეს ასე მოხდება, ამას ცხადად გვიმტკიცებს იმ თავიდანვე მათ შორის ჩამოვარდნილი მტრული ჯიბრი, რომელმაც იქამდის მიიყვანა ხაშურის საზოგადოება, რომ სურამის სკოლის გასაუქმებლად, ყველანაირი საშუალებას მიმართა. იმის გარდა, რომ წარსულ ზაფხულში ხმები გაავრცელეს, ვითომ სურამის სკოლა უვარგისია, ის უკვე დაიკეტა და სხვა (ამის გამო შემოდგომაზე ბავშვები ნაკლებად შევიდნენ სასწავლებელში), ხაშურის სკოლის მეთაურნი შუაგულ სწავლის დროს, სურამის სკოლის გამგეს სხვა და სხვა უპირატესობის და ჯამაგირის მომატების დაპირებით თავიანთ სკოლის გამგედ იწვევდნენ. სურამის სკოლის გამგემ ბ-ნმა ქვლივიძემ არ მიიღო ეს წინადადება და გულმოდგინედ განაგრძო თავის სასწავლებელში მუშაობა. ნუ თუ სურამის სკოლის გამგის გარდა მათ კაცი არ მოეძებნებოდათ? ან იქნებ ბ-ნ ქვლივიძის გატყუილებით სურამის სკოლა უნდა მოესპოთ და შუაგულ სწავლის დროს ასამდის მოსწავლე სკოლის გარე მიეტოვებინათ? დეე, მკითხველმა დასდოს მსჯავრი ასეთ საქციელს.

უნდა სიმართლე ვაღვიაროთ, რომ უქმად ჩაივლის ყოველივე ცდა, თუ ამ ორმა საზოგადოებამ ამ თავითვე არ მიატოვა ჩუმი მტრული ჯიბრი, განცალკევებული ძალა არ შეაერთა. და ხელი ხელ ჩაკიდებული არ გაუძლვა ამ რთულ და საძნელო საქმეს. თუ რომ ხაშურის სკოლების წელიწად ნახევრის არსებობა ცხადად გვიჩვენებს, რომ ისინი განცალკევებით ამ პირობებში დიდხან ვერ იარსებებენ და თუ იარსებებს, მიზანი სავსებით ვერ იქნება მიღწეული. სხვა შემოსავლის უქონლობის გამო სასწავლო ფასის გაძვირება დასჭირდებათ, ეს კი ღარიბ მოსწავლეთ მოაშორებს და მით სკოლის დაარსების დედა აზრი გვერდზე დარჩებათ ჩვენ სწავლა-განათლების მეთაურებს. რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა ძალების შეერთება, ორის ნაცვლად ერთის სკოლის მკვიდრ სკოლად დასაყენებლად.

გ. მოუსვენარაძე

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის დრამა „ღალატი“, თარ. გრ. ყიფშიძისა. როლები ასეა განაწილებული: ზეინაბი—ნ. კოლხიდელი, რუქაია—მ. მდივანი, ოთარ-ბეგ—ი. ივანიძე, ანანია—კ. მესხი. წარმოდგენა დასრულდება 11 ნახევარ საათზე.

**სახალხო წარმოდგენა.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ძმ. ზუბალაშვილების სახლში, სახალხო სახლთან არსებული სცენის მოყვარეთა წრე, კ. შათირიშვილის რეჟისორობით და ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით, გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „გაცრუებული იმედი“ და „პარიჟელი ბიჭი“. ბილეთების ფასი 5—50 კ.

—

**ისტორიული საღამო.** სამშაბათს, „კრუჟოკის“ დარბაზში „განათლების“ საზოგადოებამ გამართა ისტორიული საღამო. საღამომ კარგად ჩაიარა, ცოცხალი სურათები კარგად დასდგეს „სემირამიდა დასტირის სომეხთა მეფეს არაას“ „მეფე ალექსი ირჩევს საცოლეს“ და მესამე სურათი „მეფე ირაკლი მეორე და დედოფალი დარეჯანი მიიღებენ იმერეთის მეფის სოლომონის დესპანებს“. ეს სამი სურათი საუცხოვოდ დასდგეს. დანარჩენებს ცოტა სინათლემ უმტყუნა. ისტორიულ ტანისამოსისთვის პირველი პრემია მიიღო ქ-ნმა ტ. ამირეჯიბმა (დარეჯან დედოფლის ტანისამოსში იყო გამოწყობილი), მეორე—ქ-ნმა თ. ყანჩელისამ (თამარ დედოფლის ტანისამოსში).

საღამომ მხიარულად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო.

## უცხოეთი

**პრუსიელ სოციალ-დემოკრატების კრება.**

პრუსიელ სოციალ-დემოკრატებს ამ ჟამად ბერლინში წლიური კრება აქვთ გამართული. 22 დეკემბრის სხდომაზე გაიმართა ფიცხელი კამათი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება უნდა მიიღოს ს. დემოკრატების პარტიამ პრუსიის საარჩევნო უფლების შესაცვლელად. ამ საინტერესო სხდომას დიდძალი ხალხი დაესწრო. კრებაზე დასასწრებად გერმანიის ყველა მხრიდან მოვიდნენ დელეგატები. მათ ადგილობრივ ორგანიზაციების თანაგრძნობა გადასცეს კრებას და განაცხადეს, რომ გერმანიის ყოველ კუთხის სოციალ-დემოკრატები მზად არიან ზნეობრივი და ქონებრივი დახმარება გაუწიონ პრუსიელ ამხანაგებს და გაუადვილონ საყოველთაო საარჩევნო უფლების მოპოვება.

ზინგერი არწმუნებდა კრებას, რომ პრუსიის საარჩევნო უფლების რეფორმა—საზოგადო საქმეს შეადგენს მთელს გერმანიისთვისო. პრუსიის რეაქცია—მთელის გერმანიის პროგრესს აჩერებსო.

დეპუტატმა სერებელმა უმტკიცებდა კრებას, რომ აუცილებლად საჭიროა ბრძოლა უკიდურეს საშუალებებით ი, უნდა გაიმართონ მასიური გაფიცვები, დემონსტრაციები, არ უნდა მოვერიდნეთ თვით ადამიანის მსხვერპლსაცაო. ამასთანავე იგი ამტკიცებდა, რომ სოციალ-დემოკრატების კავშირი ნაციონალ ლიბერალებთან და თავისუფალ მოაზრებთან შეუძლებელია, [illegible] სულ მცირე რეფორმა [illegible] სტრებელმა ამნაირ[illegible] წარუდგინა კრებას [illegible] ხმად მიიღო იგი.

დიდად საინტერესო [illegible] დეპუტატ ლიბკნეხტისა, რომელმაც მკაცრად დაჰგმო პრუსიის ბიუროკრატიზმი და მილიტარიზმი, რომლებიც დუპავენ ქვეყანასო.

დასასრულ, სხდომამ რამდენიმე რეზოლუცია კიდევ მიიღო პრუსიის შინაგან პოლიტიკის შესახებ და 22 დეკემბერს კრება დაიხურა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნ ელენე დავითის ასულს ხმალაძისას, რომელმაც მიიღო შრომა და მოაგროვა ფული ქ. ახალქალაქში ახალციხის წმ. მარინეს ეკლესიის კრებულისათვის სახლის ასაგებად და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც დაიშურეს ამ საქმისათვის და შესწირეს თავიანთი წვლილი. აი, შემომწირველთა სიაც: მამედ ალიბეგ ფალავანდოვი 20 მ., დარეჯანის სახსოვრად 10 მ., ორ-ორი მანეთი: ს. მანდრიკინ, მ. ბ. ფალავანდოვი, კამალბეგ ფალავანდოვი, ტოროპ-ბეგ ფალავანდოვი, ლომან-ბეგ ფალავანდოვი, ისკანდერ-ბეგ ფალავანდოვი, შევკეტ-ბეგ ფალავანდოვი; თითო მანეთი: კ. შახპარუნოვი, არუთინ მეცატუნოვი, ვაგარშაკ გიატიანცი, გრ. პაპაიანცი, საათჩევები, ვ. კარაპეტოვი, სპირიდონ აივაზოვი, შაქრო მოხესოვი, გეურქ აფატოვი, დილანიანცი; ათ-ათი შაური: ა. გრიგორიანცი, კარაპეტ მასაკოვი, მ. თხარსკიანცი; ილია ალხაზიშვილი 2 მ., ალექსი ნ. ბერიძე 5 მან., სულხანოვი 50 კ., თითო აბაზი გიორგი ტროცკო, კიადიკოვი, აბუშევი, საგენტ. [illegible]ედირაძე, რეპეცკი, მიქელაძე, ჭონქაძე 1 მ., № 20 კ., არჩილ სამსონიძე 1 მ., ა. ჭუიაძე 1 მან., ჯ. ტერ-გრიგორიანცი 1 მ., №1 მ., ესაბედ კირპლოვისა 40 კ.; თითო მანეთი: ვერა მაკოვსკია, გ. ბერიძე, გრ. ექსანოვი, რუსეცკი, ისარლოვი, ბუდუშანი, გორაინი, ვარრამ ვარამოვი, არ. დარპინოვი; კრანოვი 15 კ., ა. კარაპეტოვი 40 კ., ძმ. მაგაკოვები 1 მ., ძმ. მადიევები 40 კ., № 20 კ., სოკოლიკოვები 1 მ., აკ. არუთინოვი 40 კ., ა. ივანოვი 1 მ., ა. შარპარუნოვი 1 მ., [illegible] ნათინი და სამსონ ოთხმეზურები 1 მ, [illegible] ჭეიშვილი 1 მ., მარიამ ალადინსკისა 10 მ., იაკობ ბაიბურთელი 3 მ., ნინა კურჩიბაშევი 3 მ. სულ 107 მანეთი და 35 კაპ. მღ. ვ. კანდელაკი.


## განცხადებანი

იანვრის პირველ რიცხვებში 1910 წ. ქალ. ბაქოში გამოვა ქართულ ენაზე ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„მარცვალი“**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 3 მ. 20 კ., ნახევარი წლით—1 მ. 70 კ., ცალკე ნომერი—5 კაპ.

ყოველგვარი წერილები და აგრეთვე ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Баку. Типографія, Эриванцевъ. Въ редак. груз. газеты "Марцвали", რედაქტორ-გამომცემელი პ. გელოვანი.
4—4

**იაფი შემოწმებული საათი** შეიძლება იყიდოთ მხოლოდ **ა. გოლდშტეინთან** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ვერცხლის და ოქროს ნივთები სულ იაფად.



(10—ხალ.—3)



ორშაბათობით ეკონ. საზ. საქონ. მიმღებ.

**1 მანეთიდან** ფულის გადახდა ნაწილ ნაწილად **1 მანეთიდან**

**ხელის მაშინები 25 მანეთიდან**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში. ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაე.—16)

„დროების“ რედაქციაში

**მიიღება ხელის მოწერა**

Bâton-ის წიგნზე

„ერი და კაცობრიობა, განხილული სოც. მხრით“.

**შინაარსი წიგნისა:**

**წინასიტყვაობა:** „ეროვნული საკითხი“ და სოციალიზმი.
**თავი პირველი:** რა არის საზოგადოება?
**თავი მეორე:** არსებობს თუ არა კაცობრიობა და როგორ?
**თავი მესამე:** ერი და საზოგადოება.
**თავი მეოთხე:** საზოგადოება, ერი, სახელმწიფო.
**თავი მეხუთე:** ხალხი, ერი, სახელმწიფო.
**თავი მეექვსე:** ერი.
**თავი მეშვიდე:** საერთაშორისო სამართალი და კაცობრიობა.
**თავი მერვე:** სოციალიზმი, ერი და კაცობრიობა.
**თავი მეცხრე:** ერის უფლება.
**თავი მეათე:** შედარებითი ღირსება ერთა.
**თავი მეთერთმეტე:** „ფონდი“ კაცობრიობისა, შეხამლებელი შომა[illegible]
**თავი მეთორმეტე:** განყენებული საზოგადოებრივი მეცნიერება და კრეტული საზოგადოებანი.
**თავი მეცამეტე:** ერის თეორიები.
**თავი მეთოთხმეტე:** ქართველი ერი.
**თავი მეთხუთმეტე:** დასკვნა: იდეალი და პრაქტიკა.

ხელის მოწერა მიიღება: **პეტერბურგში** თამარ ლომაურიან, **ოდესაში**—ა. ჯაჯანაშვილთან, **ფოთში**—ნოე ჟღენტთან, **ქუთაისში**—წიგნების მაღაზია „იმედი“ ის. კვაცარიძესთან, **ხონში**—გიგლა მებუკესთან, **ცხინვალში**—ელ. ელიოზიშვილთან, **გორში**—დ. მაჭავარიანთან, **ტფილისში** „დროების“ კანტორაში და წ. საზოგადოების მაღაზიაში. **თელავში**—ივ. პაატაშვილთან, **კიევში**—ივ. კარგარეთელთან, **ხარკოვში**—იოს. ჭალიშვილთან, **ბაქოში**—პ. ქარუმიძესთან, **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან, **ჭიათურაში**—ს. ტარუაშვილთან და სხვა.

ხელის მოწერა მიიღება 1 **თებერვლამდე** (უკანასკნელი ვადა)

აგენტებს ვთხოვთ თავის დროზე წარმოადგინონ სია ხელის მომწერ[თა]. წიგნის ფასი—ხელის მომწერთათვის **სამი აბაზი**. გაყიდვაში ექვსი აბაზი.

(4—300—1)

გამომცემელი მ. ხუციშვილი

## გლეხი-კაცის ისტორია

◀ **მიიღება ხელის მოწერა გლეხი კაცის ისტორიაზე** ▶

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტექნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების“ და „მომავლის“ ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—18)





**ამხანაგობა „პროვოდნიკი“**

**რიგაში**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში

სოლოლაკის ქ. № 4

● **იყიდება ნარდად და ცალოგით:** ●

**ლინოლეუმი,** აუარებელი ერთფერიანი უზორებიანი.

**ასბესტის კარტონი,**

**ასბესტის და ტალკის ნაბივკა**

◀ **ახალი რამ:** ▶

„**ს ა უ კ უ ნ ო**“ **ლინოლეუმი** უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.

**ლინკრუსტა** (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის დასაუკეთესოე კონომიისთვის.